ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2901191

ნომერი: AR1430146

თარიღი : 12.09.2016

გაცემის თარიღი : 20.10.2016

გაცნობის თარიღი : 20.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , (ნაკვეთი 29/102) ; ქალაქი თბილისი , სოფლის შემოგარენი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯაბა ჩხაიძე პ/ნ 01031003768
- თბილისი რ.თაბუკაშვილის ქ. N 19ა

ორგანიზაცია:
- შპს "აღმშენებელი" კოდი: 203835920

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების თაობაზე განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე, რომელზეც მას მიეცა დადებითი რეკომენდაცია. საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადასაგზავნად საჭიროა ის აკმაყოფილებდეს არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილ სტანდარტს (იხ.დანართი).
გარდა ამისა:

– თქვენს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი #5/37930 ბუნდოვანი და ორაზროვანია, იმისთვის, რომ მოხდეს საპროექტო მიწის ნაკვეთების 01.11.05.029.102 და 01.11.05.029.125 სამშენებლოდ განვითარება (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება) წარმოდგენილ უნდა იქნას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამისი თანხმობა 01.11.05.029.102 და 01.11.05.029.125 საკადასტრო ერთეულებზე AR1430146 ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

აქვე, გიგზავნით არქიტექტურის სამსახურის მიერ შემუშავებულ სტანდარტის ალბომს, რომლის მიხედვითაც უნდა დაამუშაოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის ალბომი.

შესწორებული კორექტირებული პროექტი უნდა აიტვირთოს http://tas.ge/–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 20 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია და შესწორებული ხარვეზი, სამსახური გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.